Fig. 2. Limit steepness of the wave crest above the shoreline of trapezoidal channel




Fig. 3. A typical outline of the washed-out coastal slope by the long alongshore waves 1- initial (designed) contour of the coastal slope; 2- contour of the washed-out slope; 3- channel invert.

For a relatively short waves the calculation is conducted by the following initial data: an initial depth of a channel $h_0=5m$; designed sense of ratio of inclination $m_0=\cot\theta_0=3.5$; average particle size of channel soil $d=0.5\cdot 10^{-4}m$; relative density of water and soil particles in suspension state $\gamma=1ton/m^3$ и $\gamma'=1.6ton/m^3$; length and amplitude of an alongshore wave $\lambda=4.0m$ and $a=0.35m$.




Fig. 4. Deformation contour of a coastal slope of one of the sea channel

1 – Design contour of the coastal slope; 2 – washed-out coastal slope; 3 – surface of the water in the channel; 4 – designed channel invert; 5 – deposited soil; designed water depth; h - water depth after wash-out of the slope; y – transverse co-ordinates counted from a vertical, where there is no wash-out of the coastal slope ($h_w=1,3$ m); m_0' - laying of a slope of washed-out coast.

3. CONCLUSION

Thus, there was considered the action of longitudinal waves on bank slopes of the soil channels.

The results of the calculation were in accordance with data of full-scale monitoring of wash-out of the coasts of seaport channel.

REFERENCES

1. Lamb G. Hydrodynamics. M: Gostekhizdat, 1947.
2. Constantin A. Edge waves along a sloping beach // J. Phys. A: Math. Gen. 34. 2001.
3. Johnson R.S. Some contributions to the theory of edge waves // J. Fluid Mech. Vol 524. 2005.
4. Practical manual in ocean dynamics. Edited by A.V. Nekrasov and E.N. Pelinovski, Sankt-Petersburg: Gidromteozdat. 1992.
5. Kantorovich L.V., Krilov V.N. Approximate methods of higher analysis/ M.: Fizmatgiz. 1962.

UDC 628.1

DETERMINATION OF PARAMETERS OF DRIP IRRIGATION PIPELINE TAKING INTO ACCOUNT THE CONCENTRATION OF FLOW

L. Klimiashvili, D. Gurgenidze, I. Inashvili, I. Klimiashvili

(Georgian Technical University)

Abstract: *There are received the equations of pipeline diameter of drip irrigation system and water-supply schedule, taking into consideration the concentration of flow. As a result, irrigation mode and acceptable limits of duration of irrigation have been reasonably proved.*

Key words: *drip irrigation; diameter of pipeline; concentration of flow; flow rate; duration of irrigation.*

1. INTRODUCTION

According to the water consumption, agriculture significantly exceeds all other sectors of the national economy and water industry.

Water use in agriculture primarily covers irrigation, water-supply and watering issues. Besides the above-mentioned, water consumption, drainage, drainage run-off with the salty soil and other water outfall measures are included in the use of water resources, i.e., water consumption of agriculture in the country is determined by the degree of development of land reclamation, which in turn depends on the application of modern technologies.

It should be mentioned, that among the modern reclamation activities, the drip irrigation by itself performs the prior technology, especially in arid and semiarid regions.

The main advantages of drip irrigation imply its higher efficiency, rational use of irrigation water, fertilizer, energy and labor.

Drip irrigation - is a system for supplying water and nutrients directly to the specified area of land occupied by the root zone of agricultural plants. Water is fed through a developed distribution system, lateral pipelines and drip lines and drippers, that are installed directly at the foot of each plant.

In addition, such irrigation-fertilization system allows application of the balanced amount of nitrogen, potassium and other nutrients during each stage of crop development.

Provision of fertilizers along with the irrigation water leads to more uniform distribution of enriched irrigation water to the humid layer of soil. Moisturizing layer of soil, located in the zone of the main mass of roots, has a certain horizontal and vertical dimensions, depending on the type of soil and irrigation rate. During fertilization, only rows with certain width are moisturized, that saves water, prevents weed growth, reduces the cost of maintaining the ground against weed growing.

The regime of drip irrigation should be considered as a set of elements to ensure that agricultural crops readily supplied with irrigation water during the growing season. The elements of drip irrigation regime include number of irrigation dates (irrigation scheduling), irrigation mode, upper and lower limits of the estimated soil moisture, average date and time of regular irrigation, duration of inter-irrigation period for a specific agricultural crop, region, climate, soil and economic conditions.

2. THE BODY OF THE ARTICLE

MATERIALS AND METHODS

It should be noted, that during the mixing of fertilizer with pure water, the concentration of irrigation water is increased, which affects both the irrigation rates, and the technical parameters of drip irrigation system.

The consumption of the concentration (water-fertilizer) can be expressed as [1]

$$S = \frac{Q_F}{Q_W + Q_F}, \quad (1)$$

Where: S - concentration;
 Q_F - fertilizer consumption (m^3/sec);
 Q_W - flow rate of pure water (m^3/sec).

According to the equation (1) we get, that the consumption of the fertilizers in the water supply system will be

$$Q_F = \frac{Q_W S}{1 - S}. \quad (2)$$

Transforming the equation (2), we get

$$Q_S = \frac{Q_W}{1 - S}. \quad (3)$$

According to the received equation (3) it is evident, that the rate of solution flow is directly proportional to rate of pure water flow and concentration.

Transforming the equation (3), we get, equation of diameter of pipeline of the drip irrigation system


$$d_s = d_w \sqrt{\frac{1}{1-S}}, \quad (4)$$

Where: S is concentration;

d_s - diameter of the drip pipe for the flow enriched with fertilizers (mm);

d_w - diameter of the drip pipe for the pure water flow (mm).

Using the above-mentioned equation (4), it is possible to compute the pipeline diameter for solution flow of drip irrigation system taking into account flow rate of pure water.



The graph illustrates, that for supply of normalized solution during the certain period using the drip irrigation system, it is necessary to increase the diameter of the pipe-line, which is economically unprofitable. Therefore, an alternative option is to correct the irrigation scheduling.

The irrigation scheduling to supply normalized pure water, can be determined by means of the following equation [2]

$$t = \frac{v}{Tq} = \frac{KE - \mu P}{Tq} \omega, \quad (5)$$

Where: T is period between irrigation, expressed in days;

q - flow rate of dripper (l/h),

- t - duration of the operation of system, expressed in days;
 E - evapotranspiration (mm);
 P - precipitation during the certain period (mm);
 ω - irrigated area (m²);
 v - volume of applied water (l);
 μ - coefficient of observation upon the precipitation.

Substituting (5) and (3) we get

$$t = \frac{(KE - \mu P)\omega}{Q_w}(1 - S). \quad (6)$$

Where: S is concentration;
 Q_w - flow rate of pure water (m³/c).

3. CONCLUSION

Using the above received equation it is possible to regulate schedule of supply water and fertilizers, that are necessary for growing and development of agricultural crops.

REFERENCES

1. I. Kruashvili, E. Kukhalashvili, I. Inashvili. Establishment of optimum parameters of the irrigation mode at application of the drip irrigation for reception of ecologically pure production. Proceedings of the international scientific conference on “food safety problems”, Tbilisi, 2009.
2. G. Tugushi. Agricultural hydroengineering reclamation. Georgian Agricultural University, Tbilisi, 1986.

შპს 691. 32

ბაჭიმვისას დეფორმაციის სიჩქარის გავლენა სხვადასხვა ასაკის ბეტონის სიმტკიცისა და დეფორმაციის მახასიათებლებზე

ა. საყვარელიძე, ნ. ღუდუშაური, მ.კოდუა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: შესწავლილია გაჭიმვისას სხვადასხვა ასაკის ბეტონის სიმტკიცისა და დეფორმაციის მახასიათებლებზე დეფორმაციის სიჩქარის გავლენა. გაჭიმვაზე ცდები ჩატარდა უნივერსალურ მანქანა „ინსტრან-1115-ზე“ დეფორმაციის სიჩქარეთა დიდ დიაპაზონში – $2,13 \cdot 10^{-7} \div 2,13 \cdot 10^{-1} \text{ 1/წმ}$. გამოიცადა ნიმუშები – „ბრტყელი“ რვიანები $W=4,7\%$ ტენზომეტრულით (მასის მიხედვით). ნიმუშების ასაკი იყო 28 და 60 დღე. თითოეულ სიჩქარეზე გამოიცადა ორივე ასაკის 6–6 ნიმუში, სულ 36 – ოცდარვა დღის და 36 – სამოცი დღის.

ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ გაჭიმვისას სხვადასხვა ასაკის ბეტონის სიმტკიცის, დეფორმაციის და დრეკადობის მოდულების სიდიდეზე დეფორმაციების სიჩქარე (სიჩქარეთა გამოკვლევულ დიაპაზონში) სუსტად მოქმედებს.

საკვანძო სიტყვები: ბეტონი; დეფორმაცია; გაჭიმვა; სიჩქარე; ასაკი; სიმტკიცე; დრეკადობის მოდული.

1. შესავალი

ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში გამოსაყენებელი ძირითადი მასალის – ცემენტისფუძიანი კომპოზიტების სხვადასხვა (ტრადიციული და ახალი სახის ბეტონები) გამოკვლევის მიზანია სხვადასხვა ასაკის ბეტონის გაჭიმვისას დაადგინოს სიმტკიცის, დეფორმაციის და დრეკადობის მოდულების დამოკიდებულება დეფორმაციების სიჩქარეზე.

გამოცდები გაჭიმვაზე ჩატარდა დეფორმაციის 5 სხვადასხვა სიჩქარეზე, რომლებიც ერთმანეთისგან ხარისხით განსხვავდება. დეფორმაციის სიჩქარეთა სიდიდეები პრაქტიკულად მთლიანად მოიცავს სტატიკური დატვირთვების დიაპაზონს.

გამოიცადა „ბრტყელი“ რვიანის ფორმის ნიმუშები: სისქე – 50მმ, სიგანე მუშა ნაწილში – 70მმ, საერთო სიგრძე – 530მმ. გამოცდის წინ ნიმუშების ასაკი 28 და 60 დღე იყო. დადგინდა სხვადასხვა ასაკის ბეტონის სიმტკიცის, ზღვრული დეფორმაციის და დრეკადობის მოდულის სიდიდეები დეფორმაციის სიჩქარეთა დიაპაზონში.

2. ძირითადი ნაწილი

გაჭიმვისას სხვადასხვა ასაკის ბეტონის სიმტკიცისა და დეფორმაციის მახასიათებლებზე ჩატარდა (სიმტკიცე, ზღვრული ფარდობითი დეფორმაცია, დრეკადობის მოდული) დეფორმაციის სიჩქარის გავლენა.

გამოცდები ჩატარდა უნივერსალურ მანქანა „ინსტრან-1115-ზე“. აღნიშნულ მანქანაზე შესაძლებელია გაჭიმვაზე ნიმუშები გამოიცადოს ხუთი ერთმანეთისგან ხარისხით განსხვავებული დეფორმაციის სიჩქარის დროს. აღნიშნული მანქანა საშუალებას იძლევა მასალები პრაქტიკულად გამოვცადოთ მთელ დიაპაზონში.

ნიმუშები მზადდებოდა მძიმე ბეტონისგან, რომლის შედგენილობა მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ბეტონის შედგენილობა და მასალების ხარჯი 1მ³-ზე

მასალის სახეობა	მასალის ზომები	მასალის რაოდენობა 1მ ³
1	2	3
გრანიტის ღორღი	5-14მმ	820კგ
ცემენტის ქვიშა	0,14-5მმ	930კგ
პორტლანდცემენტი	აქტივობით 450	400კგ
წყალი	სასმელი	180 ლიტრი

ბეტონის ნარევი მზადდებოდა სტანდარტულ ბეტონსარევეზე [1]. გაჭიმვაზე გამოიცადა „ბრტყელი“ რვიანები: სისქე – 50მმ და საერთო სიგრძე – 530მმ, სიგანე

მუშა ნაწილში – 70მმ. ნიმუშების დასამზადებლად გამოყენებული იყო სპეციალური დასაშლელი ლითონის ფორმები [1].

რვიანების დამზადებისას ვიბრაციის ხანგრძლივობა 60წმ იყო [1], დამზადების შემდეგ ყველა ნიმუში მოათავსეს „სტანდარტულ“ პირობებში. „სტანდარტულად“ მიღებულია შემდეგი გარემო: ჰაერის ფარდობითი ტენიანობა $\phi=100\%$, $T=20\pm1,5^{\circ}\text{C}$. ასეთ პირობებში ნიმუშების დახანება ხდებოდა კვლევის მეთოდით განსაზღვრული დროის განმავლობაში. შემდეგ ნიმუშები გამოიცადა გაჭიმვაზე დეფორმაციის სხვადასხვა სიჩქარის დროს.

ჩატარდა გამოცდის ორი სერია: პირველ სერიაში გამოიცადა 28 დღის და $W_0=4,7\%$ (მასის მიხედვით), მეორე სერიაში კი – 60 დღის და $W_0=4,7\%$ (მასის მიხედვით) ტენშემცველობის ნიმუშები. ორივე სერიის ნიმუშების გამოცდა ჩატარდა: $2,13\cdot10^{-7}\text{1/წმ}$; $2,13\cdot10^{-6}\text{1/წმ}$; $2,13\cdot10^{-5}\text{1/წმ}$; $2,13\cdot10^{-4}\text{1/წმ}$ და $2,13\cdot10^{-3}\text{1/წმ}$ დეფორმაციების სიჩქარეების დროს, ე.ი. გამოცდები ტარდებოდა 5 სხვადასხვა სიდიდის დეფორმაციის სიჩქარეებზე, რომლებიც ერთმანეთისგან ხარისხით განსხვავდება. ექსპერიმენტებში თითოეულ ასაკსა და დეფორმაციის სიჩქარეზე გამოიცადა 6 ტყუპისცალი ნიმუში.

პირველ სერიაში გამოიცადა 28 დღის ასაკის 36 ნიმუში; მეორე სერიაში – 60 დღის 36 ნიმუში.

ყველა დეფორმაციის სიჩქარეზე გამოცდისას დადგინდა ნიმუშების (მასალის) სიმტკიცის, ფარდობითი დეფორმაციის ზღვრული სიდიდეები და განისაზღვრა დრეკადობის მოდულები. სამივე დადგენილი პარამეტრი 6 ტყუპისცალი ნიმუშის გამოცდის შედეგების გასაშუალოებული სიდიდეებია.

ექსპერიმენტების შედეგები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

სხვადასხვა ასაკის ბეტონის მექანიკური მახასიათებლები დეფორმაციის სხვადასხვა სიჩქარის დროს გაჭიმვისას

დეფორმაციის სიჩქარე $1/\text{წმ}$	სიმტკიცე σ , მპა	ზღვრული დეფორმაციები $\epsilon\cdot10^{-6}$	დრეკადობის მოდ- ული $E\cdot10^4$ მპა
1	2	3	4
28 დღის ნიმუშები			
$2,13\cdot10^{-7}$	3,5	130	3,20

გაგრძელება

1	2	3	4
$2,13 \cdot 10^{-6}$	3,5	124	3,41
$2,13 \cdot 10^{-5}$	3,8	128	3,30
$2,13 \cdot 10^{-4}$	4,0	122	3,61
$2,13 \cdot 10^{-3}$	4,1	123	3,81
60 დღის ნიმუშები			
$2,13 \cdot 10^{-7}$	3,8	130	3,51
$2,13 \cdot 10^{-6}$	4,1	12	3,70
$2,13 \cdot 10^{-5}$	4,1	124	3,80
$2,13 \cdot 10^{-4}$	4,2	115	4,00
$2,13 \cdot 10^{-3}$	4,3	110	4,15

ცხრილში მოცემულია ორივე ასაკის ბეტონის მექანიკური მაჩასიათებლები, რომელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ დეფორმაციის სიჩქარის 4 ხარისხით გაზრდისას (ჩვენს შემთხვევაში $2,13 \cdot 10^{-7} \div 2,13 \cdot 10^{-3}$ 1/წმ ბეტონის გაჭიმვაზე) 28 და 60 დღის ნიმუშებისთვის იზრდება, შესაბამისად, 17,1 და 13,2%-ით. ზღვრული ფარდობითი დეფორმაციები ორივე ასაკის ნიმუშებისათვის უმნიშვნელოდ იცვლება.

დრეკადობის მოდულები კი ორივე ასაკის ბეტონისთვის, დეფორმაციის სიჩქარის ცვლილების მიღებულ ზღვრებში, 28 და 60 დღის ასაკის ბეტონისთვის, შესაბამისად, 12,1 და 11,9%-ით იზრდება.

3. დასკვნა

ჩატარებულმა გამოცდებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკის ბეტონის გაჭიმვისას სიმტკიცის, ზღვრული ფარდობითი დეფორმაციის და დრეკადობის მოდულის სიდიდეებზე დეფორმაციის სიჩქარე (სტატიკური დატვირთვის მთელ დიაპაზონში) სუსტ გავლენას ახდენს.

ლიტერატურა

1. Сакварелидзе А.В. Некоторые задачи механики строительных композиционных материалов. Монография. Тбилиси: Мецниереба, 1999.

შპს 53.082.1

ტრაპეციული კვეთის არხში ფილტრაციული ხარჯის განსაზღვრის საანგარიშო მოდელი

ი. ყრუაშვილი, დ. გუბელაძე, მ. ნაცვლიშვილი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: *მელიორაციული სისტემის დაპროექტებისა და მშენებლობისას ნიადაგ-გრუნტში ტენიანობის დინამიკისა და გრუნტის წყლის რეჟიმის პროგნოზი ემყარება წყლის ბალანსის მეთოდის გამოყენებას. ნაშრომში შეტანილი ჰიდროგეოლოგიური სქემისათვის, არხში უსასრულოდ მცირე წყლის სიღრმით რეალიზებულ იქნა ტრაპეციული კვეთის არხიდან ფილტრაციული ხარჯის განსაზღვრა. ეს საანგარიშო მოდელი ანალოგიურია ინფილტრაციის კინემატიკური სურათისა და შეესაბამება მიწისქვეშა ნაკადების თავისუფალზედაპირიანი ნაკადების დაუმყარებელ რეჟიმს.*

საკვანძო სიტყვები: *ფილტრაცია; ტრაპეციული არხი; წყლის ბალანსი; ტენიანობის დინამიკა.*

1. შესავალი

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის სწორად წარმართვის მიზნით აუცილებელ ღონისძიებად მიგვაჩნია საქართველოში საირიგაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სამელიორაციო სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, რომელიც დაკავშირებულია დიდი მოცულობის მატერიალურ დანახარჯებთან და ითვალისწინებს წყლის რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ეფექტური საირიგაციო სისტემების მშენებლობას, აგრარულ დარგში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხედვას.

2. ძირითადი ნაწილი

განხილულია შეუტბორავი (თავისუფალი) და შეტბორილი (წყალგაუჟვრებელი) სქემების ერთობლიობა დანარჩენი ჰიდროგეოლოგიური სქემების ინტეგრაციით და მიღებული შედეგები, კომპლექსური პოტენციალის ფუნქციის გამოყენებით, დაექვემდებარა ანალიზურ გადაწყვეტას.

კომპლექსური პოტენციალი

$$\omega = \phi + i\psi = -\frac{Q}{\pi}\Omega = -\frac{Q}{\pi}(\phi + i\psi), \quad (1)$$

$$\begin{aligned} \phi &= -\frac{\pi}{Q}\phi, \\ \psi &= -\frac{\pi}{Q}\psi \end{aligned} \quad (2)$$

სადაც ϕ და ψ არის ღინების წირების და თანაბარდაწნევიანი ზედაპირების პოტენციალი; Q – სრული ფილტრაციული ხარჯი არხის სველი პერიმეტრიდან, მ³/წმ; θ_2 მონაკვეთიდან ხარჯი აღნიშნულია Q -თი, ხოლო 0 წერტილში [1] – ψ და ψ_0 , ამიტომ

$$\psi_0 = \frac{\pi Q_1}{Q}. \quad (3)$$

თავისუფალი ზედაპირის გასწვრივ $\omega = -kz$ და $\Omega = \frac{k\pi z}{Q}$. X განისაზღვრება [1] შემდეგი ფორმულით:

$$X = \frac{4MQ}{\pi k} \left\{ \lambda \sin Q \left[l^n + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{l(2n+1)^\eta}{(2n+1)^2} \right] - \frac{1}{4} \left[l^n - 2l^\eta + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{l(2n-1)^\eta}{(2n-1)^2} \right] \right\} + \frac{Q}{2K}, \quad (4)$$

სადაც $\eta = \frac{k\pi z}{Q}$ არის ღინების წირებისა და თანაბარდაწნევიანი ზედაპირების პოტენციალი; a და n – მუდმივი კოეფიციენტები; Q – სრული ფილტრაციული ხარჯი არხის სველი პერიმეტრიდან, მ³/წმ.

როცა - $z=0$, $X=b/2$, მაშინ

$$B = \frac{Q}{k} - \frac{8\mu Q}{\pi k} \left\{ \lambda \sin Q \left[1 + \sum_{n=1}^{\infty} \frac{a_n}{(2n+1)^2} \right] - \frac{1}{4} \left[2 + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{1}{(2n-1)^2} \right] \right\}, \quad (5)$$

ხოლო

$$h = \frac{4\mu Q}{\pi k} \left\{ \lambda \sin Q \left[1 + \sum_{n=1}^{\infty} \frac{(-1)^n a_n}{(2n+1)^2} \right] - \frac{1}{4} \left[2 + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{1}{(2n-1)^2} \right] \right\}. \quad (6)$$

სათანადო გარდაქმნებით მიიღება:

$$Q = \mu_o k (B + 2h), \quad (7)$$

სადაც μ_o არის კოეფიციენტი, რომელიც აიღება შესაბამისი ცხრილებიდან.

მოყვანილი თეორიული გადაწყვეტა ემყარება მათემატიკური ფიზიკის ამოცანის ფორმალიზაციას და მართებულია მხოლოდ იმ ფოროვანი სხეულისთვის, რომლის ფილტრაციის კონტურები აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს.

თავისუფალი ფილტრაციის გამოსათვლელად ა. კოსტიაკოვმა ჩამოაყალიბა შემდეგი სახის ფორმულა:

$$Q = kl \left(b + 2h_o \sqrt{1 + m^2} \right). \quad (8)$$

μ განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$\frac{1}{\mu} = 1 - \frac{1}{1,5(1 + B/2h_o)} + \frac{1}{D(1 + B/2h_o)^3}, \quad (9)$$

სადაც D აიღება შესაბამისი ცხრილიდან.

6. ვერიგინის მიხედვით

$$Q = kl(B + Ah_o). \quad (10)$$

კაპილარული ძალების გათვალისწინებით ფილტრაციული დანაკარგების განსაზღვრა ემყარება ჰიპოთეზას, რომლის თანახმად ფილტრაციულ ნაკადში ჩართულია კაპილარული ქობი და გადაწყვეტა ძირითადად მიღებულია ტრაპეციული არხის განივკვეთებისათვის, თუმცა ავტორები თვლიან, რომ მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია სხვა ფორმის არხებისთვისაც.

B/h_o მცირე მნიშვნელობის საანგარიშო დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$Q = kl(B + A\bar{h}), \quad (11)$$

სადაც A კოეფიციენტი განისაზღვრება B/h_o თანაფარდობიდან, ხოლო $\bar{h}$ მნიშვნელობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{h} = h_0 + \alpha h_j, \quad (12)$$

სადაც

$$\alpha = 0,75 \div 1,0.$$

ნ. ვერიგინის და ბ. რიზენკამფის მონაცემების შედარება გვაძლევს, რომ კაპილარული ძალები ვერიგინის მიხედვით უმნიშვნელოა. კაპილარული ძალების გათვალისწინებით ფილტრაციული დანაკარგები

$$Q = kl \left(b + 2\beta h_0 \sqrt{1+m^2} \right), \quad (13)$$

სადაც β არის შემასწორებელი კოეფიციენტი და ითვალისწინებს ფერდობის გვერდით წყალშთანთქმას. აიღება $1,1 \div 1,4$ ფარგლებში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა მით მეტია, რაც უფრო მაღალია გრუნტის კაპილარული პოტენციალი.

ცნობილია, რომ წყალგამტარობა ნაწილობრივ შევსებულ ზონაში მკვეთრად განსხვავდება გრუნტის წყლების მოძრაობისაგან. არსებიდან თავისუფალი ფილტრაციისათვის საანგარიშო ფორმულებში საჭიროა შეტანილ იქნეს სათანადო კორექტივები.

დანაკარგების განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია კაპილარული წყალგამტარობის შეცვლა გამტარობით, სრული წყალგაჯერების პირობებში, რადგან წყალგამტარობა გაცილებით მცირეა სრული წყალშეტბორვის ზონაში, ამიტომ ფორმულაში მაქსიმალური კაპილარული აწევის სიმაღლის შეყვანა ფილტრაციული დანაკარგების გაზრდილ სიდიდეს იძლევა.

ამის გამო, კაპილარული აწევის სიმაღლე საჭიროა შეიცვალოს ე.წ. $\alpha \cdot h_j$ დაყვანილი სიმაღლით, სადაც $\alpha \approx 0,3$. შესაბამისად გვექნება:

$$Q = kl' \left(b + 2\beta h_0 \sqrt{1+m^2} \right). \quad (14)$$

მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მონაცემების შედარებამ (მათ შორის ლაბორატორიულმაც) აჩვენა, რომ ქვემოთ მოყვანილი დამოკიდებულება ყველაზე უკეთ პასუხობს ფილტრაციული დანაკარგების ხარჯის განსაზღვრას:

$$Q = kl \left[1 + \left(0,5 h_j / B \right) \right] (B + 2h_0). \quad (15)$$

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ბუნებრივ-გეოტექნიკურ კალაპოტში გამავალი არსებიდან ფილტრაციის საანგარიშო ჰიდრავლიკური მოდელი ემყარება დაშვებას, რომლის მიხედვითაც ფილტრაციული ნაკადი უპირატესად მოძრაობს გრავიტაციული ძალის გავლენით და უგულებელყოფილია სიჩქარის პორიზონტალური მდგენე-

ლი, რაც გულისხმობს, რომ არხის ფსკერიდან გარკვეულ მანძილამდე ეკვიპოტენციური ზედაპირი მკვეთრად ჰორიზონტალურია, ხოლო დინების წირები მისი ორთოგონალური. ამასთან, დავეუშვით ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ჰიდრავლიკურად უხელსაყრელესი არხის განივკვეთი ხასიათდება ცოცხალი კვეთის ფართობის მაქსიმუმით, რომელსაც შეესაბამება სველი პერიმეტრის მინიმალური მნიშვნელობა, ამიტომ ასეთი არხიდან ფილტრაციული ხარჯი სავარაუდოდ უნდა იყოს მინიმალური, თუმცა ასეთ დაშვებას, თუნდაც ლოგიკური დასაბუთების გარეშე, არ იზიარებს ბევრი მკვლევარი.

ტოლფერდა ტრაპეციული არხის განივკვეთის ფართობისა და სველი პერიმეტრის ფორმულის გაწარმოებით და $\frac{d\omega}{d\beta} = 0$ და $\frac{df}{d\beta} = 0$ პირობების გათვალისწინებით მივიღებთ:

$$\frac{d\omega}{d\beta} = 2h\beta \frac{dh}{d\beta} + h^2 + 2mh \frac{dh}{d\beta} = 0, \quad (16)$$

$$\frac{df}{d\beta} = \beta \frac{dh}{d\beta} + h + 2\sqrt{1+m^2} \frac{dh}{d\beta} = 0. \quad (17)$$

(16) და (17) განტოლებათა სისტემის ამოხსნით გვექნება, რომ ჰიდრავლიკურად უხელსაყრელესი კვეთისათვის

$$\beta = \frac{b}{h} = 2(\sqrt{1+m^2} - m). \quad (18)$$

გაანგარიშებისათვის საჭიროა შეირჩეს ვირტუალური სწორკუთხა კვეთის გაბარიტები, რომელსაც ექნება ისეთივე გამტარუნარიანობა, რაც რეალურ ტრაპეციულ არხს. წყლის ნაკადის თანაბარი მოძრაობის შემთხვევაში ხარჯი შეიძლება გამოვთვალოთ უწყვეტობის პირობიდან

$$Q = \omega V = h^2 (b + mh) C \sqrt{RI}. \quad (19)$$

თუ მივიღებთ, რომ

$$C = \frac{1}{n} R^{\frac{1}{6}}, \quad (20)$$

სადაც n არის ხორკლიანობის კოეფიციენტი, მაშინ შეიძლება დავეწეროთ:

$$Q = \frac{1}{n} h (b + mh) R^{\frac{2}{3}} \sqrt{I}. \quad (21)$$

ვირტუალური სწორკუთხა კვეთისათვის, რომლის სიგანეა b_0 , განსაზღვრული ჰიდროდინამიკური ბადის მიხედვით თავისუფალი ფილტრაციის ზონაში, h_0 წყლის სიღრმის არხში გამტარუნარიანობა (ხარჯი) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$Q_0 = \frac{1}{n} b_0 h_0 R_0^{\frac{2}{3}} \sqrt{I}. \quad (22)$$

(18)-ის გათვალისწინებით, (21) და (22) გამოსახულებათა ურთიერთგატოლებით და სათანადო გარდაქმნებით, რომელიც ასევე მოიცავს ჰიდრაულიკურ რადიუსებს, მივიღებთ

$$\frac{(b_0 h_0)^{\frac{5}{3}}}{(b_0 + 2h_0)^{\frac{2}{3}}} = a h^{\frac{8}{3}}, \quad (23)$$

სადაც

$$a = \frac{\left(2\sqrt{1+m^2} - m\right)^{\frac{5}{3}}}{\left(1+m^2 + \sqrt{1+m^2} - m\right)^{\frac{2}{3}} \sqrt[3]{4}}.$$

(23) განტოლებიდან კონკრეტული მონაცემებისათვის, შერჩევის წესით ან სათანადო გრაფიკების შედგენით, α კოეფიციენტის მიხედვით, ადვილად განისაზღვრება h_0 სიდიდე.

ფილტრაციის პროცესის საწყის სტადიაში ანუ გრუნტის ფორების წყალშეღებამდე წყლის გადაადგილებაში ერთდროულად მონაწილეობს როგორც გრაფიტაციული, ასევე კაპილარულ-ოსმური და სხვა კატეგორიის ძალები. ფილტრაციული ხარჯის განსაზღვრისათვის დაუმყარებელი რეჟიმის ამ სტადიაზე ფილტრაციის სიჩქარე შეიძლება გამოვსახოთ, როგორც გრადიენტის ფუნქცია ან კიდევ სიჩქარე – დროის ფუნქცია. პირველ შემთხვევაში ფილტრაციის ხვედრითი ხარჯი

$$q = K_0 \frac{Z + h_0 + \sum h}{Z} b_0. \quad (24)$$

მეორე შემთხვევაში

$$q = K_t b_0. \quad (25)$$

K_t -ს განსაზღვრისათვის შეიძლება ვისარგებლოთ რომელიმე განტოლებით ან ჩვენ მიერ აპროქსიმირებული შემდეგი დამოკიდებულებით:

$$K_t = K_0 + (K' - K_0) \exp(-\alpha t). \quad (26)$$

ხვედრითი ხარჯი (24)-ის მიხედვით Z -ის ზრდასთან ერთად მცირდება ანუ, რაც უფრო დიდ სიღრმეზე გადაადგილდება ფილტრაციის ნაკადის ფრონტი, მით უფრო მცირდება გრადიენტი. (25) ფორმულის მიხედვით, ხვედრითი ხარჯის ცვალებადობა აისახება (26) კანონით, რაც ნიშნავს, რომ t ზრდასთან ერთად მცირდება K_t და უახლოვდება K_0 . მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაუმყარებელი ფილტრაციული რეჟიმის პირობებში ხარჯი გრადიენტის ან დროის ფუნქციაა, თუმცა ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაციით ადვილი მისახვედრია, რომ გრადიენტიც დროის ფუნქციაა და ის მუდმივი ხდება, როცა გრუნტის ფორების წყალგაჯერებასთან ერთად ფილტრაციული ნაკადის ფრონტი დაეყრდნობა გრუნტის წყლის სარკის ზედაპირს.

ფილტრაციის გაანგარიშების შემდგომი ეტაპი პირობითად ეფუძნება დამყარებული რეჟიმის საანგარიშო მოდელს, რომლის თანახმად $\sum h$ პოტენციული ნულის ტოლია და Z გაუტოლდება არხის ფსკერიდან გრუნტის წყლის ზედაპირამდე H მანძილს.

ფილტრაციის სიჩქარე დროის ნებისმიერ მომენტისათვის

$$\frac{dz}{dt} = K_0 \frac{h_0 + Z}{Z}. \quad (27)$$

დიფერენციალური განტოლების (27) ინტეგრირება სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით ($t=0, Z=0$) გვაძლევს:

$$t = \frac{1}{k_0} \left(Z + h_0 \ln \frac{h_0}{h_0 + Z} \right). \quad (28)$$

ფილტრაციული ნაკადის გადაადგილებით საშუალო სიჩქარე $Z=H$ სიმძლავრეზე (მანძილზე) ტოლი იქნება:

$$\bar{V} = K_0 \frac{H}{H + h_0 \ln \frac{h_0}{h_0 + H}}. \quad (29)$$

გამოსახულებიდან ჩანს, რომ გრადიენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია, რადგან ერთზე ნაკლები რიცხვის ლოგარითმი უარყოფითი სიდიდეა და ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ თავისუფალი ფილტრაციის რეჟიმი ზემოგანხილულ საანგარიშო სქემაში შესაბამისი სასაზღვრო პირობებით არ ფიქსირდება. მიუხედავად ამისა, საინჟინრო პრაქტიკისათვის მისაღები სიზუსტით შეიძლება დროის გარკვეულ ინტერვალში გავიგოთ ფილტრაციული ხარჯი და შესაბამისი გრუნტის წყლის

დონის ცვალებადობა. ცხადია, გრუნტის წყლის დონის თავისუფალი ზედაპირის მოხაზულობა და „ბორცვის“ სიგრძის რადიუსი დამოკიდებული იქნება გრუნტის ფილტრაციულ თვისებებზე. სიჩქარე $\bar{V}$ თანდათან იზრდება და თეორიულად მიისწრაფვის უსასრულობისაკენ, ამიტომ სიჩქარის საშუალო მნიშვნელობას განვსაზღვრავთ წინასწარ დანიშნული ΔH -სათვის.

ვირტუალური კვეთის მეთოდი საშუალებას იძლევა, რეალური გეოტექნიკური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, მოვახდინოთ ფილტრაციული დანაკარგების პროგნოზი ე.წ. საწყისი ჭეშმარიტი ფიზიკური გრადიენტის გათვალისწინებით.

ფილტრაციის სიჩქარეს ვერტიკალური დაღმავალი მიმართულებით, საწყისი გრადიენტის გათვალისწინებით, ჩავწერთ შემდეგი დიფერენციალური განტოლებით:

$$\frac{dV}{dt} = k \left(\frac{H}{z} - I_0 \right), \quad (30)$$

სადაც H აერთიანებს გრავიტაციულ-კაპილარულ, ოსმურ, ელექტროქიმიურ და სხვა პოტენციალებს.

განიხილება მხოლოდ საწყისი გრადიენტის გავლენის შეფასება დამყარებული ფილტრაციის რეჟიმზე, ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მათემატიკური ფორმალიზაციის გარეშე, წინაღობის ხაზოვანი კანონის ფარგლებში, პროცესის აღწერისათვის განვიხილავთ შემდეგი სახის დიფერენციალურ განტოლებას:

$$\frac{dz}{dt} = k \left(\frac{h_0 + z}{z} - I_0 \right). \quad (31)$$

(31)-ის ინტეგრირება, სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით, გვაძლევს

$$t = \frac{1}{k(1-I_0)^2} \left[z(1-I_0) + \ln \frac{h_0}{h_0 + z(1-I_0)} \right]. \quad (32)$$

როცა $I_0=0$, მაშინ (32) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$t = \frac{1}{k} \left(z + h_0 \ln \frac{h_0}{h_0 + z} \right), \quad (33)$$

$$t = \frac{h_0}{k} \left(\eta + \ln \frac{1}{1+\eta} \right), \quad (34)$$

სადაც $\eta = \frac{z}{h_0}$

ა6

$$t = \frac{h_0}{k} [\eta - \ln(1 + \eta)] . \quad (35)$$

(35) განტოლების გამოყენებით განისაზღვრება აერაციის ზონის წყალშევის დრო, ხოლო დროის პროგნოზი, საწყისი გრადიენტის გათვალისწინებით, (32)-ის მიხედვით, აღემატება (35)-ით გაანგარიშებულს და ის მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია l_0 -ის სიდიდეზე.

3. დასკვნა

მიღებული შედეგი განსაზღვრავს ფილტრაციული დანაკარგის რაოდენობას, რომლის საიმედოობა უკავშირდება ინტეგრალური ჰიდროფიზიკური პარამეტრის საწყისი გრადიენტის გათვალისწინებას საანგარიშო ჰიდრომექანიკურ მოდელში.

ლიტერატურა

1. Губеладзе Д.О., Круашивили И.Г. Критические скорости течения в земляных каналах при наличии фильтрации// Труды Груз. СХИ, «Орошение земель в горных условиях Грузии», 1985, с. 53-58.
2. Yamada T. Kawabata. A theoretical study on the resistance law of the flow over a porous layer. Proc.JSGE. N 525. pp.69-80 (in Japanese). M4. 1982.
3. Walters G.Z., Manam V.P. Hydrodynamic effects Of see page on bed particles л.Hydr.Div.Proc.ASCE.vol.97 pp.421-459, 1971.

შპს 53.082.1

წყლის მიგრაციისა და ნიადაგის მახასიათებლების გავლენა რწყვის რეჟიმზე

ი. ყრუაშვილი, ი. ინაშვილი, ე. კუხალაშვილი, კ. ბზიავა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: ნიადაგში წყლის მოძრაობის თავისებურებები ხშირად ვერ თავსდება სწორხაზოვანი ფილტრაციისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების ფარგლებში, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მორწყვის რეჟიმის მახასიათებლებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ფილტრაციული პროცესის მჭიდრო კორელაციური კავშირი ამა თუ იმ პარამეტრთან და მისი გავლენა მორწყვის რეჟიმზე. გრუნტის ნაწილაკებზე წყლის აფსკების გარშემორტყმის გათვალისწინებით შემოთავაზებულია მოდელი, რომლის საფუძველზე მიღებულია მორწყვის ნორმისა და ხანგრძლივობის საანგარიშო დამოკიდებულებები.

საკვანძო სიტყვები: ფილტრაცია; რწყვის რეჟიმი; კაპილარობა.

1. შესავალი

ბუნებრივი რესურსების მართვას და მის რაციონალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სფეროში. ირიგაციაში ისეთი დეფიციტური რესურსის გამოყენება, როგორიცაა წყალი, დამოკიდებულია ნიადაგის მახასიათებლებსა და ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის წყალმოთხოვნილებაზე.

2. ძირითადი ნაწილი

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებით, ნიადაგი, მარცვლოვან-ფოროვანი სხეულია და მისი მყარი სისტემის ღარებს შორის შეიძლება სხვადასხვა კატეგორიის წყალი განთავსდეს. აქედან გამომდინარე, ნიადაგის ფორებში წყლის ფილტრაციის კანონზომიერება ხშირად ვერ თავსდება ნიუტონური სითხეებისათვის დამახასიათებელი წინააღობის კანონის ჩარჩოში. ამიტომ, ფილტრაციის მოვლენის სრულად ასახვის მიზნით, საჭიროა აღნიშნული პროცესის პრინციპულად განსხვავებულ მოდელებთან ადაპტაცია [1].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეების შესწავლისას აუცილებელი ხდება დარსის კანონის გამოყენება და ზღვრების დადგენა, რომლის საფუძველზე ნიადაგში ფილტრაციას მას შემდეგ აქვს ადგილი, როცა დაწნევის გრადიენტი გადააჭარბებს გარკვეულ სიდიდეს. ამ სახის ფილტრაციული მოვლენა, ძირითადად, განპირობებულია მინერალური ნაწილაკების გარშემო წარმოქმნილი დრეკადი თვისებებისა და მნიშვნელოვანი სიბლანტის მქონე ბმული წყლის აფსკებით. ასეთი წყლის მოძრაობაში მოყვანა დამატებით დატვირთვას მოითხოვს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბმული წყლის სისტემის შემცირება და აქტიური ფორიანობის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ნიადაგ-გრუნტის კომპლექსურ მახასიათებლებსა და საწყის გრადიენტს შორის ცალსახა კავშირის დასადგენად ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლენილ იქნა, რომ ნიადაგის ფოროვან სისტემებში წარმოქმნილი ფილტრაციის განსაკუთრებული თავისებურება გამოწვეულია ბმული წყლის ურთიერთქმედებით ნიადაგ-გრუნტის მყარი ნაწილაკების მნიშვნელოვან ფართობთან.

ნიადაგ-გრუნტის მინერალური ნაწილაკების ზედაპირზე ზემოქმედების შედეგად წყალი ახალ თვისებებს იძენს, რომლებიც ჩვეულებრივისაგან რადიკალურად განსხვავდება. კერძოდ, სხვადასხვა ძალის გავლენით წყალი იძენს კვაზიმყარი სხეულის თვისებებს, ავლენს ანომალიებს და ხასიათდება ძვრისადმი წინააღმდეგობის უნარით.

როდესაც ნიადაგის კაპილარობა მიღოვანი სისტემითაა წარმოდგენილი, წყლის მოძრაობის მოდელის გამოყენების საფუძველზე [3], ნიადაგ-გრუნტში წყლის გა-

დაადგილების ასაღწერად მიღებულ იქნა, რომ გარკვეულ მილში (კაპილარში) წყლის მოძრაობის სიჩქარე [2, 3]

$$V = \frac{\gamma i R^2}{2\mu} \left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2 \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \frac{r_0}{R}\right), \quad (1)$$

ხოლო წყლის ხარჯი

$$Q = \frac{\gamma i R^2}{2\mu} \omega \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \frac{r_0}{R}\right). \quad (2)$$

როცა ω ფართობი წარმოდგენილია X მილოვანი სისტემით, მაშინ წყლის ხარჯი

$$Q = V \pi R^2 \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \frac{r_0}{R}\right) X. \quad (3)$$

იმ შემთხვევაში, როცა საანგარიშო ხარჯი ფილტრაციული წყლის ხარჯის ტოლია, მაშინ ნაკადის ფილტრაციის სიჩქარე იქნება:

$$V_{\text{ფ}} = V n \left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2 \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \frac{r_0}{R}\right), \quad (4)$$

სადაც $V_{\text{ფ}}$ ფილტრაციული წყლის სიჩქარეა (მ/წმ); V – მილოვან სისტემაში ნაკადის საშუალო სიჩქარე (მ/წმ); R – მილოვანი სისტემის ცალკეული მილსადენის რადიუსი (მ); n – ნიადაგის გრუნტის ფორიანობა.

(4) განტოლებაში მარჯვენა წევრი $\left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2$ აღნიშნავს აქტიურ ფორიანობას.

ფილტრაციული ნაკადის სიჩქარისა და საშუალო სიჩქარის ტოლობის შემთხვევაში შეგვიძლია მივიღოთ, რომ

$$n = \frac{1}{2n_{\text{აქტ}} - 2\sqrt{n_{\text{აქტ}} + 1}}. \quad (5)$$

(5)-ს გათვალისწინებით (4)-ში, მივიღებთ

$$V_{\text{ფ}} = V n \left(2n_{\text{აქტ}} - 2\sqrt{n_{\text{აქტ}} + 1}\right). \quad (6)$$

შესაბამისად, წყლის ხარჯი

$$Q = \omega \frac{V_{\text{ფ}}}{\left(2n_{\text{აქტ}} - 2\sqrt{n_{\text{აქტ}} + 1}\right)^2}. \quad (7)$$

არასწორხაზოვანი ფილტრაციის შემთხვევაში ფილტრაციის ხარჯი

$$Q = \omega V_{\text{з}} \left(1 - \frac{I_0}{I} \right), \quad (8)$$

სადაც I_0 დაწნევის საწყისი გრადიენტი; I - დაწნევის სრული გრადიენტი.

(7) განტოლების (8)-თან გატოლებით, ფარდობა საწყის გრადიენტსა და სრულ გრადიენტს შორის ფორიანობის გათვალისწინებით, იქნება:

$$\frac{I_0}{I} = \frac{\left(2n_{\text{ძბ}} - 2\sqrt{n_{\text{ძბ}} + 1} \right)^2 - 1}{\left(2n_{\text{ძბ}} - 2\sqrt{n_{\text{ძბ}} + 1} \right)^2}. \quad (9)$$

როგორც (9) დამოკიდებულების ანალიზი გვიჩვენებს, როცა ნიადაგ-გრუნტის ფორიანობა $n \leq 0.10$, მაშინ ფილტრაციას ადგილი არ აქვს და ნაკადის მოძრაობაში მოსაყვანად აუცილებელია დამატებითი გარე ძალების გაზრდა.

საირიგაციო ფართობზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მორწყვის რეჟიმი სარწყავ სისტემაში მისაწოდებელი წყლის ხარჯის დინამიკის მაჩვენებელია.

t მორწყვის პერიოდში წყლის საჭირო ხარჯი

$$Q = \frac{a\omega m}{t}, \quad (10)$$

სადაც Q წყლის ხარჯია ($\text{მ}^3/\text{წმ}$); ω - სარწყავი ფართობი (ჰა); a - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს საერთო ფართობზე სასოფლო-სამეურნეო კულტურის განთავსებას; t - მორწყვის დრო დღე-ღამეში; m - მორწყვის ნორმა ($\text{მ}^3/\text{წმ}$).

(7)-ს გატოლებით (10)-თან გვექნება:

$$m = \frac{KI \left(1 - \frac{I_0}{I} \right) t}{\left(2n_{\text{ძბ}} - 2\sqrt{n_{\text{ძბ}} + 1} \right)^2 a}. \quad (11)$$

ვინაიდან მორწყვის ნორმა, მცენარის სახეობის მიხედვით, ნიადაგის გასატენიანებელი ფართობის სიდიდის ფუნქციაა, შესაბამისად, სხვადასხვა ნიადაგ-გრუნტის H გატენიანების შრის სისქე, ნიადაგსა $\beta_{\text{მაჟს}}$ და $\beta_{\text{მინ}}$ ტენტევალობებთან კავშირში, K ფილტრაციის კოეფიციენტის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს, როდესაც $m = AH(\beta_{\text{მაჟს}} - \beta_{\text{მინ}})$ [3], იქნება:

$$H = \frac{KI \left(1 - \frac{I_0}{I}\right) t}{aA (\beta_{\text{მკს}} - \beta_{\text{მონ}}) (2n_{\text{მტ}} - \sqrt{2n_{\text{მტ}} + 1})^2}. \quad (12)$$

მორწყვის ხანგრძლივობა დღე-ღამეში

$$t = \frac{aAH (\beta_{\text{მკს}} - \beta_{\text{მონ}}) (2n_{\text{მტ}} - \sqrt{2n_{\text{მტ}} + 1})^2}{KI \left(1 - \frac{I_0}{I}\right)}. \quad (13)$$

3. დასკვნა

მიღებული (11), (12) და (13) ფორმულებით შესაძლებელია განისაზღვროს მორწყვის რეჟიმის პარამეტრები ნიადაგ-გრუნტებისა და წყლის მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. ი. ყრუაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ინაშვილი, კ. ბზიავა. ნიადაგ-გრუნტებში წყლის მოძრაობისა და მიგრაციის ჰიდროეკოლოგიური ასპექტები. საერთაშორისო კონფერენციის „აგრობიომრავალფეროვნების დაცვა - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 2010 წ., გვ. 282-286;
2. ი. ყრუაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ინაშვილი, კ. ბზიავა, გ. ნატროშვილი. ფილტრაციის თავისებურებანი ნიადაგ-გრუნტებში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული №67, 2012 წ., გვ. 226-231;
3. ი. ყრუაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ინაშვილი, კ. ბზიავა, გ. ნატროშვილი. ნიადაგ-გრუნტში წყლის ფილტრაციის ანომალიებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული №67, 2012 წ., გვ. 231-237.

შპს 626/627

დადგენილი სიმძლავრის ბანსაზღვრა ნამახვანჰესის მაბალითზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში


ნ. კოდუა, ა. ახვლედიანი, ა. გოგოლაძე, გ. ახვლედიანი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეკომენდებულია ჰესების ეკონომიკური ეფექტურობის დადგენა, სუფთა მიმდინარე ღირებულებისა და ამონაგების შიგა ნორმის კრიტერიუმების გამოყენებით. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ნამახვანჰესის დადგენილი სიმძლავრე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, 230 მგვტ-ია. ამ სიმძლავრის პირობებში დადგენილია ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებში, ტარიფები. მათი შესაბამისი საშუალო შეწონილი ტარიფი 6.81 ცენტ/კვტსთ-ია.

საკვანძო სიტყვები: ჰესებზე დადგენილი სიმძლავრე; ტარიფის დადგენა; ნამახვანჰესი.

1. შესავალი

ჰესებზე დადგენილი სიმძლავრის ოპტიმალური მნიშვნელობის დადგენა დამოკიდებულია ენერგოეკონომიკურ ფაქტორებზე. იგი განსხვავებული მეთოდოლოგიით წარმოებს იმის მიხედვით, თუ როგორია ჰესის სქემა და იმ ელექტროენერგეტიკული სისტემის შემოდგომა-ზამთრის დატვირთვის გრაფიკი, რომელშიც მან უნდა იმუშაოს. ქვემოთ განვიხილავთ კაშხლური სქემით განხორციელებული ნამახვანჰესისთვის (მდინარე რიონი) დადგენილი სიმძლავრის შერჩევის საკითხს, როდესაც იგი ელექტროენერგიას აწოდებს მომხმარებელს შემოდგომა-ზამთრის სეზონში არსებული გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით.



მდინარე რიონზე ჰესების კასკადი

2. ძირითადი ნაწილი

კაშხლური სქემით განხორციელებული ჰესებისთვის დადგენილი სიმძლავრის სიდიდეს მნიშვნელოვნად განაპირობებს შექმნილი წყალსაცავის მოცულობის შესაძლებლობები, მდინარის ჩამონადენის უთანაბრობის დასარეგულირებლად. წყალსაცავის მოცულობის გაზრდას, ე.ი. რეგულირების ხარისხის გაზრდას, მიუყვართ დადგენილი სიმძლავრის გაზრდამდე. ეს ხორციელდება კაშხლის სიმაღლის მომატებით, რაც იწვევს კაპიტალდაბანდების ზრდას. ამის გამო, კაშხლის ეკონომიკურად გამართლებული სიმაღლის დასადგენად მიზანშეწონილია მისი სიმაღლე ვზარდოს რაღაც ინტერვალში, ვთქვათ, 5მ ბიჯით და ყოველი სიმაღლისათვის განესაზღვროს წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა და საანგარიშო დაწნევა. შედეგად მივიღებთ დადგენილი სიმძლავრის სიდიდეს. ასეთ გაანგარიშებებში წინასწარ ცნობილია დადგენილი სიმძლავრის ეკონომიკურად გამართლებული გარანტიის დონე.

ამგვარად, აღნიშნული მიდგომის პირობებში, ნამახვანჰესისთვის დადგენილი სიმძლავრის დასადგენად გვრჩება, საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტე-

მის დატვირთვის გრაფიკის მიხედვით, განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება ნაწარმოები ელექტროენერგიის ისეთი ტარიფებით, როდესაც საანგარიშო პერსპექტივაში (ე.ი. მშენებლობის დამთავრების პერიოდისათვის) მისი გასაღება უზრუნველყოფილი იქნება (ტარიფების მისაღებ დონეს საქართველოში სემეკი განსაზღვრავს).

შემოდგომა-ზამთრის სეზონში საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტი გვაქვს, რაც უფრო გაღრმავდება საანგარიშო პერსპექტივაში, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში – დადებითი ბალანსი. დადგმული სიმძლავრის ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმით განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება არა მარტო ჩვენი ენერგოსისტემის გაზრდილი მოთხოვნილება (პერსპექტივაში), არამედ ელექტროენერგიის გასაღების შესაძლებლობები მეზობელ ელექტროენერგეტიკულ სისტემებში (თურქეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასია). ვინაიდან ამ ქვეყნებში ელექტროენერგიის ღირებულება მეტია, ვიდრე საქართველოში, მიზანშეწონილია (თუ ეს შესაძლებელი იქნება), ჩვენი სისტემის მუშაობის საიმედოობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ექსპორტირების შესახებ გადაწყვეტილება მივიღოთ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის დადგენილი ზღვრული ტარიფების მიხედვით. თუ აღმოჩნდება, რომ ნამახვანჰესის რომელიმე სავარაუდო დადგმული სიმძლავრისათვის გენერირებული ელექტროენერგიის ღირებულება ნაკლები ან ტოლია, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების განვითარების გათვალისწინებით, გამოთვლილ ზღვრულ ღირებულებაზე, ცხადია, ნამახვანჰესის მშენებლობა ეკონომიკურად ეფექტური იქნება. მისი გამომუშავების ნაწილის გასაღება მეზობელ ელექტროენერგეტიკულ სისტემებში მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც ინვესტორის შემოსავალს, ასევე ქვეყნის ბიუჯეტს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნამახვანჰესზე ოპტიმალური დადგმული სიმძლავრის დასადგენად განხილულ იქნა შესაძლო სიმძლავრეების შემდეგი შვიდი მნიშვნელობა: 180, 200, 230, 235, 240, 260 და 280 მგვტ. სიმძლავრის ამ მნიშვნელობებისათვის სათითაოდ გამოთვლილ იქნა 95%-იანი და 50%-იანი უზრუნველყოფის მქონე გამომუშავებები (ცხრ. 1).

ცხრილი 1

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება, \$ მლნ

	სიმძლვრე მგვტ	გამომუშავება 95%-იან უზრუნველყოფის წლისთვის, მლნ კვტ/სთ			გამომუშავება 50%-იან უზრუნველყოფის წლისთვის, მლნ კვტ/სთ		
		შემოდგ ომა- ზამთარი	გაზაფხულ - ზაფხული	წლიური	შემოდგომ ა- ზამთარი	გაზაფხუ ლ- ზაფხული	წლიური
		1	2	3	4	5	6
1	180	130	679	810	300	705	1005
2	200	132	712	844	276	745	1021
3	220	129	727	855	267	774	1041
4	230	138	730	868	264	786	1051
5	235	126	716	843	232	786	1038
6	240	119	716	831	249	787	1034
7	260	121	786	837	239	767	1008
8	280	113	727	802	232	745	974

დადგმული სიმძლავრის სიდიდესა და შესაბამის გამომუშავებას შორის, აგრეთვე დადგმულ სიმძლავრესა და მისი განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯებს შორის დამოკიდებულების გრაფიკები ნაჩვენებია ნახაზზე.

როგორც ნახაზიდან ჩანს, დადგმული სიმძლავრის ზრდის დროს მშენებლობაზე გასაწევი დანახარჯები თითქმის წრფივი კანონით იზრდება, მაშინ, როდესაც წლიური გამომუშავება როგორც 95%-იანი უზრუნველყოფის მქონე წლიური ჩამონადენით, ასევე 50%-იანი უზრუნველყოფის მქონე ხარჯებით, ჯერ იზრდება და შემდეგ დიდი სიმძლავრის პირობებში ნელ-ნელა მცირდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ტურბინის დიდი სიმძლავრის შემთხვევაში ხდება ჩამონადენის მთლიანი ათვისება და შემოდგომა-ზამთრის სეზონში წყალსაცავის 2-3 თვეში დაცლა.

ცხრილი 2


სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება, \$ მლნ

№	შესასრულებელ სამუშაოთა დასახელება	დადგმული სიმბლავრების ვარიანტი, მგვტ							
		180	200	220	230	235	240	260	280
1	ელექტრული და მექანიკური მოწყობილობები	110.3	122.3	138.8	145.1	160.1	170.3	180.2	190.5
2	გაუთვალისწინებელი ხარჯები, 20%	20.6	24.4	26.8	29.4	32.0	34.1	36.3	38.4
3	ჯამური ხარჯები	130.9	146.7	165.6	174.5	192.1	202.4	210.5	228.9
4	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	312.0	315.4	318.8	325.0	321.4	322.2	325.0	329.0
5	გაუთვალისწინებელი ხარჯები, 20%	62.4	63.1	63.8	64.1	64.3	64.5	65.0	65.8
6	ჯამური ხარჯი	374.4	378.5	382.6	384.6	385.7	386.7	390	394.8
7	$\Sigma(6 + 3)$	505.3	525.2	548.2	559.1	577.8	589.1	600.5	623.7
8	30% (7)	151.6	157.6	164.5	169.7	173.3	176.7	180.1	187.1
9	70% (7)	353.7	367.7	383.7	391.4	404.5	412.4	420.4	436.6

შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ გაზაფხულის ჩამონადენით წყალსაცავის გავსება დაიწყება, ჰესი მუშაობს მკვდარი მოცულობის დონით, ე.ი. მინიმალური დაწნევით, რაც გამომუშავებული ენერგიის შემცირებას იწვევს.

წყალსაცავის დამუშავება-ავსების რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს სისტემისათვის, დაძაბული სადღეღამისო დატვირთვის გრაფიკში, საპროექტო ჰესის მიერ დასაფარავი პიკური დატვირთვის ხანგრძლივობა. ანგარიშებში გავითვალისწინეთ რა ამჟამად პიკში არსებული დეფიციტური ზონის ხანგრძლივობა, ყველა განს-

ახილველი სიმძლავრისათვის გარანტირებულ დასაფარავ ხანგრძლივობად ნამახვანპესზე მიჩნეულ იქნა 4–6 სთ.



გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის გარანტირებული სიმძლავრით დასაფარავი ზონა გამოითვლება მოდინებული ხარჯის მიხედვით. თუ აღმოჩნდება, რომ საშუალო თვიური მოდინებული ხარჯი მეტია პესის ტურბინების გამტარუნარიანობაზე, მის ზედმეტ ნაწილს წყალსაში გაატარებს და ენერგიას არ მოგვცემს. ასეთ შემთხვევას ადგილი ექნება მცირე დადგმული სიმძლავრის დროს.

მიზანშეწონილია, გარანტირებული სიმძლავრით გამომუშავებული ელექტროენერგია, შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის სეზონებისათვის, შეფასდეს განსხვავებული ტარიფებით, რაც ინვესტირებული კაპიტალის რეალურად ამოღების ხანგრძლივობას მისაღები სიზუსტით განსაზღვრავს.

საქართველოში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულისათვის არ არის შემოღებული განსხვავებული ტარიფები. გაანგარიშებებში გამოყენებულ იქნა სა-

შუალო შეწონილი ტარიფის მნიშვნელობები, რომლებიც, ზამთარ-ზაფხულის ტარიფების ნებისმიერი თანაფარდობის შემთხვევაში, ცალ-ცალკე განსაზღვრავს ზამთრისა და ზაფხულის ტარიფებს, თუ ცნობილია მთლიანი წლიური გამომუშავების რა ნაწილს შეადგენს ზამთრის გარანტირებული გამომუშავება და რა ნაწილს – ზაფხულის.

ელექტროენერგიაზე ტარიფები რომ განესაზღვროთ, ყველა განსახილველი სიმძლავრის შესაბამისი გამომუშავების მიხედვით, აუცილებელია ვიცოდეთ გაწეული კაპიტალის რა ნაწილი მოხმარდა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას და რა ტურბინა-გენერატორისა და ელექტრომოწყობილობების შეძენა-დამონტაჟებას, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსით მათ ამორტიზაციაზე სხვადასხვა პროცენტული განაკვეთებია გათვალისწინებული. ასეთი მონაცემები მოცემულ მნიშვნელობათა გამოყენებით მოცემულია მე-2 ცხრილში.

ელექტროენერგიაზე ტარიფის დასადგენ გაანგარიშებებში, როდესაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმად ვიყენებთ მიზანშეწონილი სუფთა მიმდინარე ღირებულებისა და რენტაბელობის შიგა ნორმის მისაღებ კრიტერიუმებს, საჭიროა ვიცოდეთ ფინანსური ამორტიზაციის პერიოდი. მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია კაპიტალდაბანდების ოდენობასა და ინვესტორის სურვილზე იმის შესახებ, თუ რა პერიოდს მიიჩნევს იგი მიზანშეწონილად ინვესტირებული თანხის ამოსაღებად. ეს პერიოდი, როდესაც საქმე გვაქვს კაპიტალტევადი ობიექტის განხორციელებასთან, იცვლება 20–30 წლის ფარგლებში. გარდა ამისა, ტარიფის სიდიდეზე გავლენას ახდენს მშენებლობის დაფინანსების სქემა. განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კაპიტალტევადი ობიექტების მშენებლობის დაფინანსება მეტწილად ხორციელდება აქციონერული კაპიტალით. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კი ხშირად იყენებენ პროექტისმიერ დაფინანსებისას. საქართველოში ასეთი სქემით დაფინანსების განხორციელებისათვის ხელშემწყობი კანონები არ არსებობს და ამიტომ მიზანშეწონილია ვისარგებლოთ წილობრივი კაპიტალის დაფინანსების სქემით, როდესაც მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალი შედგება კერძო კაპიტალისა და ბანკის სესხისაგან. კერძო კაპიტალის წილი ჯამურ კაპიტალდაბანდებაში იცვლება 20–50%-ის ფარგლებში. რაც მეტია კერძო კაპიტალის წილი, ბანკს შეუძლია მით უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასცეს სესხი, რადგან ბანკისთვის თანხის დაბრუნე-

ბის რისკ-ფაქტორი მცირდება. ასეთ შემთხვევაში ბანკის სასესხო თანხის საპროცენტო განაკვეთი იცვლება 7–9 %-ის ფარგლებში, ხოლო კერძო კაპიტალის საპროცენტო განაკვეთი 12–15%-ის ფარგლებში. ჩვენს ანგარიშებში ბანკის სესხის საპროცენტო განაკვეთად მიჩნეულია 8%, ხოლო კერძო კაპიტალის მიზანშეწონილ საპროცენტო განაკვეთად – 13%.

ტარიფის დასადგენად გაანგარიშებები შესრულდა სემეკისთვის ჩვენ მიერ რეკომენდებული საანგარიშო პროგრამით. მშენებლობისათვის საჭირო ჯამური კაპიტალდაბანდების, ასევე სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ღირებულების გათვალისწინებით შესრულებულ გაანგარიშებათა შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში. როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ელექტროენერგიაზე ყველაზე დაბალ ტარიფს ვღებულობთ, როდესაც დადგმული სიმძლავრე 230 მგვტ-ია. სრული დანახარჯის მიხედვით გაანგარიშებისას ტარიფი 6.81 ცენტი/კვტსთ ტოლია.

ცხრილი 3

**ტარიფები ცენტი/კვტსთ განსახილველი დადგმული
სიმძლავრეების მიხედვით**

№	სიმძლავრე, მგვტ	50%-იანი უზრუნველყოფის პირობებში
		სრული დანახარჯის მიხედვით, ცენტი/კვტსთ
1	180	0.0968
2	200	0.0871
3	220	0.0710
4	230	0.0681
5	235	0.0822
6	240	0.0981
7	260	0.1159
8	280	0.1300

ინვესტორს მშენებლობის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დადების პერიოდში შეუძლია რამდენადმე შეცვალოს ფინანსური ამორტიზაციის პერიოდი, სარგებლის საპროცენტო განაკვეთი და რეიტინგის შესაბამისად მოიზიდოს სასეს-

ხო კაპიტალი დაბალ პროცენტებში. მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს ტარიფის შესამცირებლად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის რეალურად გასაღების რისკი გაიზრდება. შესაბამისად, გაიზრდება ინვესტირებული თანხის დაფარვის რისკიც. მიგვაჩნია, რომ ყველა მოყვანილი ამოსავალი მონაცემების შესაძლო ცვლილებებს ნაანგარიშები ტარიფების შემცირება შეუძლია მხოლოდ 5%-ის ფარგლებში, რაც ნამახვანჭესის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების საიმედოობას მხოლოდ უმნიშვნელოდ გაზრდის. ეს ნიშნავს, რომ ინვესტორი ორიენტირებული უნდა იყოს გენერირებული ელექტროენერგიის ჭარბი ნაწილის მეზობელ ქვეყნებში მაღალი ტარიფით ექსპორტირებაზე.

3. დასკვნა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეკომენდებული ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმების სუფთა მიმდინარე ღირებულების ამონაგების შიგა ნორმის გამოყენებით და საქართველოს ენერგოსისტემის დატვირთვის გრაფიკის გათვალისწინებით დასაბუთებულია, რომ ნამახვანჭესის დადგენილმა სიმძლავრემ მიზანშეწონილია 230 მგვტ შეადგინოს. ამ სიმძლავრის პირობებში დადგენილია ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებში, ტარიფები. მათი შესაბამისი საშუალო შეწონილი ტარიფი 6.81 ცენტ/კვტსთ შეადგენს. ეს მხოლოდ ოდნავ აღემატება საქართველოს ენერგოსისტემისათვის სემეკის მიერ დამტკიცებულ გენერაციის ზღვრულ ტარიფს. მშენებლობის დამთავრების პერიოდისათვის, მოსალოდნელი ტარიფის ზრდის გათვალისწინებით, და იმის გათვალისწინებით, რომ მეზობელ ქვეყნებში სარეალიზაციო ტარიფი გაცილებით დიდია, ცხადია, ნამახვანჭესის მშენებლობა ინვესტორისთვის რეალურად ეკონომიკურ ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

შპს 622.272

ხეობის ფერდის მდგრადობის საკითხები სადაწნეო გვირაბის არსებობისას

გ. ახვლედიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: გვირაბის გარემომცველი ზონის ცემენტაცია მძლავრი საინჟინრო საშუალებაა, რომლის გამოყენებით შესაძლებელია როგორც ფილტრაციული დანაკარგის შემცირება, ასევე ხეობის ფერდის პოტენციურად საშიშ ზედაპირებზე მდგრადობის მარაგის გაზრდა. ენგურჰესის გვირაბისათვის მიღებულ იქნა მასივისა და ცემენტაციური ზონის ფილტრაციის კოეფიციენტთა ფარდობის კრიტიკული პარამეტრი.

საკვანძო სიტყვები: ფილტრაციული მოცულობითი ძალა; ეფექტური ძაბვა; ენგურჰესის სადაწნეო გვირაბი; ხეობის ფერდის მდგრადობა.

1. შესავალი

მასივში განვითარებული ფილტრაცია გვირაბის გარშემო ქმნის დეპრესიის ზედაპირს, რომლის ფარგლებში ადგილი აქვს კლდოვანი გრუნტის შეტივტივებას, გვირაბის კონცენტრაციის ზონებში ძაბვების გადანაწილებას და მასალის ძვრის მახასიათებლების გაუარესებას. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც ფერდში არსებობს ხეობის მიმართულებით ორიენტირებული დაცურების სიბრტყე. ამ მხრივ ფილტრაციული პროცესები მნიშვნელოვნად რეაგირებს ფერდის მდგრადობის მარაგზე გაუარესების მიმართულებით.

2. ძირითადი ნაწილი

აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გვირაბის მოკეთების შიგა ზედაპირზე მოქმედი ჰიდროსტატიკური წნევის სიდიდე, ფერდის გეოლოგიური აღნაგობა (ანიზოტროპია, სხვადასხვა შრეებრიობა) და გვირაბის გარემომცველი ცემენტაციური ზონა. ექსპლუატაციის პერიოდში, ზოგადად, ადგილი აქვს ცემენტაციური ზონის ეფექტურობის ვარდნას, რომლის მიზეზი მასივში ბზარების გახსნა, ასევე გამოტუტვის და სუფოზიური პროცესების განვითარებაა. აღნიშნული საკითხები

აქტუალურია ენგურჰესის გვირაბისათვის, სადაც ცალკეულ უბნებში, ექსპლუატაციის პერიოდში, მოხდა ფილტრაციული დანაკარგის ზრდა. ეს საკითხები მნიშვნელოვანია ენერგეტიკული თვალსაზრისით და მასივის მდგრადობის მხრივ, მით უფრო, როდესაც ფერდის შრეებრიობა დაცურების სიბრტყის ორიენტაციისაა.

ენგურჰესის სადაწნო გვირაბის მაგალითზე მოცემულია ფერდის მდგრადობაზე გაანგარიშების შედეგები დაცურების პოტენციურად საშიშ ზედაპირებზე, მასივისა და ცემენტაციური ზონის ფილტრაციის კოეფიციენტთა ფარდობის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის, $K_m/K_{gc} = 2 \div 10$ [1].

ენგურჰესის სადაწნო გვირაბის ტრასა გადის რთულ გეოლოგიურ გარემოში. აღსანიშნავია, რომ აქ ადგილი აქვს ქანების შრეებრიობას, რომელიც ანიზოტროპიულ მასივს წარმოადგენს, რომლის გამოსატულება იცვლება ბზარიანობის მიხედვით. ანიზოტროპიის კოეფიციენტი ხასიათდება მაღალი მნიშვნელობით, 1.4–1.6. საცდელი ექსპერიმენტული კვლევების შედეგად მიღებულ იქნა, რომ გამაგრებითი ცემენტაციის შედეგად ანიზოტროპიის კოეფიციენტი დაყვანილია მინიმუმამდე - 1.04 [2].

“მოკეთება-მასივი” სისტემის გაანგარიშება ჩატარებულია მასივის საწყისი დაძაბული მდგომარეობის, გვირაბის ზედაპირზე მოქმედი ჰიდროსტატიკური წნევის და ფილტრაციული მოცულობითი ძალების (შემატივტივებული წნევის) გათვალისწინებით. ძვრაზე მდგრადობა შეფასებულია ეფექტური ძაბვის მიხედვით:


$$K = \frac{(\sigma - p) \operatorname{tg} \varphi + cF}{\tau_c},$$

სადაც σ ნორმალური ძაბვაა ძვრის ზედაპირზე; p – ფილტრაციული წნევა, $\operatorname{tg} \varphi$, c – ხახუნის კოეფიციენტი და ხვედრითი შეჭიდულება ძვრის ზედაპირზე; F – ძვრის ზედაპირის ფართობი; τ_c – მხები ძაბვის საანგარიშო მნიშვნელობა ძვრის ზედაპირზე. სამშენებლო ნორმების მიხედვით I და II კლასის ობიექტებისათვის ძვრაზე მდგრადობის მარაგი უნდა აკმაყოფილებდეს პირობას: $K > 1.25$ [3].

